აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის

ბრძანება №ს-116

2013 წლის 7 მაისი

ქ. ბათუმი

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

„ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის №98 დადგენილების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 01 მაისის № 44 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „პ^{2}“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოწმობის თანდართული ფორმა.

მუხლი 2

სალიცენზიო მოწმობა შედგენილ იქნეს 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცეს ლიცენზიანტს, მეორე ინახებოდეს ლიცენზიის გამცემ ორგანოში.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი **დავით ბალაძე**